ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ხაშურის მოამბე

№15(339) 24 აპრილი, კვირა, 2022 წელი

აღდგომა სახეა სიცოცხლისა

აღდგომა, მოძრავი დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ, 325 წელს, დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

ქრისტიანთათვის აღდგომა უდიდესი დღესასწაულია, რადგან იესო ქრისტემ ჯვარცმითა და შემდეგ აღდგომით კაცობრიობას ჩაუსახა რწმენა სულის უკვდავებისა, საუკუნო ცხოვრებისა. ქრისტეს აღდგომა ძველის – ახლით, ბნელის – ნათელით, სიკვდილისა – სიცოცხლით შეცვლას ნიშნავს.

წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ უდიდესი დღესასწაულის მნიშვნელობას:

„დღეს აღესრულა, საყვარელნო, რაც მრავალი საუკუნის წინ თქვა დავით წინასწარმეტყველმა: „მწუხრი იყვნენ ტირილით და ცისკარს სიხარულით“. რამეთუ მწუხარება, რომელმაც მოიცვა მოციქულნი უფლის ჯვარცმისას, მისი აღდგომის სიხარულით შეიცვალა“; ხოლო ქრისტეს ჯვარმცმელების სიხარული ცისკარზე უფლის აღდგომით მათ სირცხვილად გადაექცათ“.

ასევე, თითოეული მორწმუნე ქრისტიანი ხვდება აღდგომას სიხარულით.

„ქრისტიანობამ იცის,რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღდგა ქრისტე და აღადგინა თავისი კაცთამხსნელი მოძღვრება, თავისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა... დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისა გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოჰფინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერებაზედ არაფერი არ ხეირობს„ არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არ ყვავის, არ ცოცხლობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვანიჭა ცხოვრება იმიტომ,რომ მკვდარი იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით... თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობლისა, აღდგომა - სიცოცხლისა“.

ჩემო ძვირფასო ხაშურელებო!

წლის ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაული - აღდგომაც დაგვიდგა, დღე, რომელიც სულიერ სიხარულს, იმედს, რწმენას აერთიანებს! მინდა, მოგილოცოთ და თქვენთან ერთად განახლებული სიცოცხლის ენერგიით გავაგრძელო ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში,მშვიდობა, კეთილგანწყობა გისურვოთ, ვისურვო, ვიყოთ სოლიდარულები, მიმტევებლები ერთმანეთის მიმართ, მეტი სიყვარულით, დათმენით მივიდეთ საერთო მიზნამდე, რასაც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა და ეკონომიკური სიძლიერე ჰქვია.

ქრისტე აღსდგა!

გილოცავთ სიხარულით, სიყვარულით და პატივისცემით თითოეული თქვენგანის მიმართ, სიკეთე, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

ზაალ დუგლაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი!

იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა - უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის - სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაული.

ბრწყინვალე აღდგომა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის დიდი სიხარულისა და იმედის მომტანია.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი. გისურვებთ სიკეთეს, სულიერ სიძლიერეს და ჯანმრთელობას.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო მეგობრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე დიდი დღესასწაული - აღდგომა შემობრძანდა, იმედის, ახალი სიცოცხლის დღე!

დღეს, როდესაც მსოფლიოში მთავარი ღირებულება - მშვიდობა კიდევ მეტად დაფასდა და სანატრელი გახდა, მინდა, მშვიდობა გისურვოთ, მტრობა, მოძმის ტყვიისთვის გამეტება, ქვეყნის განვითარებისთვის საზიანო წამოწყებები გონიერებამ,სულგრძელობამ შეცვალოს. როგორც ქრისტემ ყველა არასწორ გზაზე შემდგარს აპატია გადაცდომა, ისე შევუნდოთ ერთმანეთს, სიყვარულით დავდგეთ ადამიანის და სახელმწიფოს გადასარჩენად, გამოვიყენოთ ჩვენი უმძლავრესი იარაღი - ერთად დგომა ნებისმიერი განსაცდელის გადასალახად!

ქრისტე აღსდგა!
ქრისტე აღსდგა!
ქრისტე აღსდგა!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, სულის და ხორცის სიჯანსაღეს გისურვებთ.

ნინო ლიპარტელიანი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

აღდგომა გამორჩეულია მის აღნიშვნასთან დაკავშირებული საერო სიმბოლოებითაც, როგორიცაა წითელი კვერცხი, „არტოსი“, პასკა.

წითელი კვერცხი

სააღდგომოდ, ჩვენ, ყველანი, წითლად ვღებავთ კვერცხებს და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებთ: „ქრისტე აღსდგა“. ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც, ღვთისმშობლის შემდეგ, პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

საერთოდ, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმინდა და აკურთხა.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14)

მეორე დღეს, ბრძანების თანახმად, ჯარი იერიშზე გადავიდა. იერიში ფრონტზეც და ფლანგზეც წარმატებით წარიმართა. ფრონტიდან მეთაურები თავის მოხსენებებში შეტევის წარმატებაზე მიუთითებდნენ. მოგვიანებით ეს მეთაურები ამბობდნენ, არ ველოდით, რომ გაშლილ ადგილზე, თოვლში, მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ჯარი ასე მამაცურად შეუტევდაო. ამას ის გამოცდილი მეომრები ამბობდნენ, როგორებიც სუმბათაშვილი და მაზნიაშვილი იყვნენ. მარცხენა ფლანგიდანაც სასიხარულო ცნობები მოდიოდა. სამწუხაროდ, ამავე დღეს, დაბინდებამდე, ბრძოლის დასრულება ვერ შევძელით. ამაში გვარდიის შეყოვნებამ შეგვიშალა ხელი. შებინდებისას ჩვენთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. მარცხენა ფლანგის შეტევა, რომელიც არსებული ჯარის ნახევრისაგან შედგებოდა და 40-ზე მეტი ტყვიამფრქვევი ჰქონდა, მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. მარცხენა ფლანგმა მტერს შემოუარა და მთებზე განლაგდა. მტერი დაბლობში იმყოფებოდა. მოწინააღმდეგეს არტილერიის ნაწილი უკვე მიეტოვებინა და ჩვენი ჯარი მთიდან გახსნილი ცეცხლით მტერს ზარბაზნების გატანის საშუალებას არ აძლევდა. მარჯვენა ფლანგზე განლაგებულ მტრის ცხენოსანთა რაზმს ჩვენი მარცხენა ფლანგის ქვეითმა ჯარმა გარს შემოუარა. დაბნელებამდე ამგვარი ვითარება შეიქმნა. ჩვენი შტაბის ჩინოსნები გამოცოცხლდნენ და ხელებს იფშვნეტდნენ. ვითარება ნამდვილად სახარბიელო იყო. ფრონტიდან და ფლანგიდან შევიწროებული მოწინააღმდეგე გაშლილ ველზე იმყოფებოდა. ჩვენმა მარცხენა ფლანგმა მტერს შემოუარა, მთებზე განლაგდა და ახლა მტერი დაბლობში ჰყავდა მოქცეული. შემდგომში შეტევა წარმატებას გვიქადდა. შესაძლებელი იყო მტრის მოჭრა ხიდისაგან, რომელიც მის ზურგში, 12 ვერსის დაშორებით მდებარეობდა და მისთვის მტკვარზე გავლით უკანდახევის ერთადერთი საშუალება იყო. ჩვენს მდგომარეობას ისიც აუმჯობესებდა, რომ მე-11 პოლკის ბატალიონი უკვე ბორჯომში იტვირთებოდა და 1-2 საათში ხაშურში იქნებოდა. ტყვეებისაგან შეტევაზე მომავალი მტრის რაოდენობა შევიტყეთ. ეს იყო ორი ბრიგადა. მოწინააღმდეგის დივიზიებში სულ 3 ბრიგადა შედიოდა, ხოლო დივიზიის რაოდენობა 4500 ხიშტს არ აღემატებოდა. ამრიგად, ხაშურთან მტრის რაოდენობა 3000 ხიშტს ითვლიდა. ჩვენი ჯარი მას ორჯერ აღემატებოდა. ესეც ჩვენს სასიკეთოდ მეტყველებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ დროს გორის სადგურში თბილისიდან ჩვენს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გამოსული დეპუტაცია იმყოფებოდა. იგი მოწმე იყო დაბნეულობისა, რაც ხელმძღვანელობაში სუფევდა. უკვე კონსტანტინოპოლში, თბილისიდან ჩამოსულებმა მიამბეს, რომ განგაში და არეულობა თბილისსაც მოსდებოდა.

მართლაც, ჩვენი წარმატება მოწინააღმდეგეს მძიმე ყოფაში ჩააგდებდა. თბილისიდან სწრაფი დახმარების მიწოდებას ვერ შეძლებდნენ. ჩვენი წარმატებით დაიმედებული მოსახლეობა აღსდგებოდა, რაც ჩვენს მდგომარეობას გააუმჯობესებდა, ხოლო მოწინააღმდეგე კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდებოდა. თუ არ ვცდები, უკვე დაღამებული იყო, როცა ბრძოლის ველიდან ვ. ჯუღელი მოვიდა. იგი ხელში მსუბუქად იყო დაჭრილი. მისგანაც სასიხარულო ცნობები მივიღეთ. იგი მარცხენა ფლანგზე გვარდიელთა ერთ-ერთ ბატალიონში იმყოფებოდა. რუკაზე ის ადგილი, სადაც თვითონ დაიჭრა, ვერ მიგვანიშნა. მისმა დაჭრამ ბატალიონზე უარყოფითად იმოქმედა, მან უკან დახევა იწყო, მაგრამ ჯუღელი ადგილზე დარჩა და ბატალიონი შეაჩერეს (ნეტა ვინ ავიწროებდა). ამის შემდეგ ჯუღელი წამოვიდა და გვითხრა, იქიდან რომ მოვდიოდი, ვითარება უკვე გამოსწორებული იყოო. მისმა ნაამბობმა ამაფორიაქა; მასში სიმხნევე არ იგრძნობოდა, ეს არ ჰგავდა წარმატებაში დარწმუნებული მებრძოლის ნაამბობს. მაგრამ ეს მის ჭრილობას მივაწერე. მან გვითხრა, უკან ვბრუნდებიო.

მინდოდა მეთხოვა, დარჩენილიყო, მაგრამ ენა არ მომიბრუნდა. დაჭრილს ყოველთვის აქვს გამგზავრების უფლება. მაინც შევთავაზე: „თქვენ დაჭრილი ხართ, უფლება გაქვთ დარჩეთ-მეთქი”. ეფიქრობ, ვერ მიმიხვდა, რას ვეუბნებოდი, მე კი არ შემეძლო მომეთხოვა, რომ დარჩენილიყო. ჭრილობა საშიში არ იყო, ძვალი დაზიანებული არ ჰქონდა. ჩემი აზრით, მას უნდა მიებაძა ალექსანდრე დგებუაძისათვის, ვინც ამ ომში ორჯერ დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არ გამოსულა. დგებუაძე უბრალო მუშა იყო, მაგრამ საუკეთესო თვისებებით, მოვალეობის დიდი გრძნობით გამოირჩეოდა.

გითხარით, რომ ჩემი შტაბი გამოცოცხლდა და უკვე მომავალ წარმატებას ზეიმობდა. „ხვალ ვუჩვენებთ სეირსო”, – გაიძახოდნენ. მე კი თავს მოუსვენრად ვგრძნობდი. ამის მიზეზი თითქოს არც ყოფილა, მაგრამ გულზე რაღაც სიმძიმე მაწვა, რაღაც მაფორიაქებდა. „ნაადრევად ნუ გიხარიათ” – ვეუბნებოდი, – „ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა; ხვალ მოწინააღმდეგეს თუკი განვდევნით, აი, მაშინ ვიზეიმებთ-მეთქი”.

ღამის 1 საათისათვის გენერალ კონიაშვილის მოხსენება მივიღე. იგი ყველაფერს ცვლიდა. მატყობინებდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმა ჯარმა, თვითნებურად, მოწინააღმდეგის მხრიდან ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, მიატოვა პოზიციები და უწესრიგოდ მიემართება სურამისაკენ. მდგომარეობა უეცრად შეიცვალა. ჩვენ გამარჯვებულები აღარ ვიყავით; პირიქით, გენერალ მაზნიაშვილისა და გენერალ სუმბათაშვილის ნაწილები, რომლებმაც დილიდან ვაკეზე წაიწიეს, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდებოდნენ. მოწინააღმდეგე, რომელსაც ვეღარავინ შემოუვლიდა, თვითონ ისარგებლებდა ამ მთებით და ჩვენს ნაწილებს, რომლებიც იძულებულნი იქნებოდნენ უკან დაეხიათ, თვითონვე მოუვლიდა ზურგიდან. სურამის ქედზე გამაგრებულ პოზიციებზე დახვევის ბრძანება გულისტკივილით გავეცი. წარმატების გზაზე გვარდია გამუდმებით აფუჭებდა საქმეს. გენერალ მაზნიაშვილს გვირაბთან განლაგებულ პოზიციებზე უნდა დაეხია. გენერალი კონიაშვილი სურამთან მდებარე პოზიციებს დაიკავებდა; გენერალ სუმბათაშვილს გვირაბი უნდა გაევლო და სურამის ქედის დასავლეთ ფერდობზე რეზერვში დამდგარიყო. უკან დახევის გასაადვილებლად ბორჯომიდან მოახლოებული მე-11 პოლკის ბატალიონი გამოვიყენე. დილას მან ხაშურთან მთისწინეთის პოზიციები დაიკავა. მეთაურს გაჩერების ადგილი პირადად მივუთითე; მას ჯარის გავლის შემდეგ უნდა დაეხია, მერე კი გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებს შეერთებოდა. არტილერია უკან რკინიგზის ხაზით იწევდა, სხვა გზა არ არსებობდა, ეს კი წინასწარ გავამზადეთ.

უკანდახევა წარმატებით განხორციელდა და შუადღისთვის გენერალმა მაზნიაშვილმა პოზიცია გვირაბთან დაიკავა, გენერალი სუმბათაშვილი კი უკვე ფერდობზე ადიოდა. მინდა შევნიშნო, რომ გვარდიის უკანდახევისას ახალციხის გვარდიელთა ბატალიონი ახალციხეში დაბრუნდა.

პოზიციების დაკავების შემდეგ, მე წიფაში გავეშურე. ზომების მიღება დაგეჭირდა, რათა წიფა ოთხთვალებისაგან გაგვეწმინდა. ისინი, ძირითადად, გვარდიას ეკუთვნოდა. ღამე კიდევ ერთი მოულოდნელობა მელოდა. ჩემთან გენერალი კონიაშვილი, ლადო ჯიბლაძე, აუშტროვი და გვარდიის შტაბის სხვა წევრები მოვიდნენ და გამომიცხადეს, გვარდია მითითებულ პოზიციებზე არ შეჩერდა და წიფაში ჩამოვიდაო.

ამასობაში მოწინააღმდეგე უკვე სურამში და გვირაბთან გამოჩნდა. სურამის უღელტეხილის დაკავების შემდეგ წიფაში გამოვიდოდა და გენერალ მაზნიაშვილის რაზმი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. უკან დასახევად მას მხოლოდ გვირაბი ჰქონდა, რომლის დასავლეთი ბოლო მოწინააღმდეგის ხელთ იქნებოდა. გვარდიელები კი ამასობაში უკვე წიფაში ჩამოვიდნენ და სადგურში მშვიდად იკრიბებოდნენ. გვარდიის წარმომადგენლებს ვუთხარი, სასწრაფოდ უნდა დაგვეკავებინა სურამის უღელტეხილი-მეთქი. ამისთვის სათანადო ზომების მიღება და რამდენიმე ასეული კაცის უკან მიბრუნება ვუბრძანე. მათ პირობა მომცეს და მოსალაპარაკებლად გაბრუნდნენ. ლადო ჯიბლაძე მარწმუნებდა, ახლავე ყველაფერს ვიღონებთო. ღამის 3-4 საათზე ვაგონიდან გამოვედი, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ გვარდიელები წავიდნენ. რასაკვირველია, არავინ წასულა. გვარდიის შტაბის წევრები მოვძებნე და ვკითხე, ჩემთვის მოცემული პირობა რატომ არ შეასრულეთ-მეთქი. თავის მართლება დაიწყეს: ხალხი დაიღალა, მშიერები არიან, თვალი არ მოუხუჭავთო და ა.შ. ვუბრძანე, ხალხი შეეკრიბათ და უღელტეხილზე წაეყვანათ. გვარდია მხოლოდ გამთენიისას დაიძრა, მაგრამ უღელტეხილი მოწინააღმდეგეს დაეკავებინა. ის უკვე წიფისკენ მოიწევდა, როცა გენერალ სუმბათაშვილის ჯარის ერთმა ასეულმა თავისი ინიციატივით წიფის სიახლოვეს მდებარე მთის თხემი დაიკავა და მოწინააღმდეგე შეაკავა. სწორედ რომ დროულად მოახერხა. გვარდიელები ამ თხემზე ავიდნენ, პოზიციები დაიკავეს და, ამრიგად, გენერალ სუმბათაშვილის ნაწილების ფრონტი გააგრძელეს. იმის გამო, რომ გვარდიამ სურამის ურელტეხილზე გაჩერება არ ისურვა, იძულებული ვიყავი ჩემს ხელთ არსებული რეზერვი გამომეყენებინა. უღელტეხილს უკან ვეღარ დავიბრუნებდით. მოწინააღმდეგე ამასობაში თანდათან იშლებოდა და გენერალ მაზნიაშვილს უკვე ფლანგიდანაც ავიწროებდა, მაშინ, როდესაც ფრონტიდან შეტევა უკვე დაწყებული ჰქონდა. მაზნიაშვილს უკანდახევა ვუბრძანე. საღამომდე ჯარი პოზიციებზე იდგა. გული მწყდებოდა. ამჯერად არც გვარდიას მიუტოვებია ბრძოლის ველი და მედგრად იდგა. ეს სიმტკიცე გუშინ რომ გამოეჩინა, უღელტეხილს შევინარჩუნებდით და ჩვენი მდგომარეობაც თანდათან გაუმჯობესდებოდა.

მაზნიაშვილისა და გვარდიის უკან დახევის შემდეგ გენერალ სუმბათაშვილის დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. მეორე დღეს მათ ფლანგში აიყვანდნენ ის ჯარები, რომლებმაც მაზნიაშვილზე გვირაბთან იერიში მიიტანეს. დაღამდა თუ არა, 10 ვერსით უკან, დასავლეთისკენ, შემდეგ პოზიციაზე დავიხიე. ბრძოლის გაგრძელების იმედი აღარ მქონდა; სურამის უღელტეხილი გვარდიამ უბრძოლველად დათმო.“

რა ხდებოდა რუსეთ-საქართველოს შორის ხაშურის მისადგომებთან საომარი ოპერაციების მიმდინარეობის დროს თვით ხაშურში? მართლა ზარ-ზეიმით ელოდებოდა ხაშურის მოსახლეობა წითელი არმიის შესვლას, როგორც ამას ბაქოდან 17 თებერვალს პირდაპირი მავთულით ი. სტალინს ატყობინებდა: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია განთავისუფლებულ ქართველ გლეხთა შორის. გლეხები თავიანთ მხსნელებს პურმარილით ხვდებოდნენ, ბევრი სიხარულისაგან ტიროდნენ.”

მოსახლეობა ხაშურიდან გახიზნული იყო ახლო-მახლო სოფლებში. რა თქმა უნდა იყო მოსახლეობის ბოლშევიკურად მოაზროვნე ნაწილი, რომელიც გარკვეულ სამზადისში იყვნენ წითელი არმიის ნაწილების შესახვედრად. ერთი ნაწილი წითელი არმიის რიგებშიც იყვნენ.

როცა ხაშურში საქართველოს ჯარის მთავარსარდლობისაგან გარკვეული სამუშაოები ხორციელდებოდა მტრის გასანადგურებლად, 2 მარტს ილია აბაიაძის ბინაზე მოსე ცინცაძის თავმჯდომარეობით მოწვეული იქნა საგანგებო კრება, რათა შეემუშავებინათ ღონისძიებები წითელი არმიის ნაწილებთან შეხვედრისათვის. კრებას ესწრებოდნენ ილიკო აბაიაძე, გრიშა ბერძენიშვილი, მიხეილ თედიაშვილი და სხვები. კრების მოწვევის შესახებ იმავე ღამეს შეიტყო ხელისუფლებამ. მეორე დღეს, 3 მარტს, დააპატიმრეს ი. აბაიაძის მამა ზ. აბაიაძე, ხოლო თვით ილიამ გაქცევით უშველა თავს, მაგრამ იმავე დღეს იგი დააპატიმრეს და საორთქმავლო დეპოს ეზოში დახვრიტეს. მეორე დღეს, პეტრე კაპანაძის დახმარებით, მისი ცხედარი ხაშურის ძველ სასაფლაოზე დაკრძალეს.

მოვუსმინოთ ხაშურელთა იმ ნაწილს, რომლებიც თანაგრძნობას უცხადებდნენ წითელი არმიის ნაწილებს.

<u>სიმონ მაისურაძე:</u> 1919 წელს გამიწვიეს ჯარში. „მოვხვდი თბილისში მეხუთე ფეხოსან პოლკში... 1920 წლის მარტის თვეში ჩვენი დანაყოფი დარიალის ხეობაში გაიგზავნა. ეს ის პერიოდი იყო, როცა დენიკინის თეთრგვარდიელთა ჯარები საქართველოზე გამოვლას აპირებდნენ, მომწყვდეული ჰყავდათ წითელი არმიის ნაწილებს ჩრდილოეთ კავკასიაში.. იმ დროს ჩემი ძმა ალექსი ჩრდილოეთ კავკასიაში იყო, მსახურობდა წითელი არმიის ერთ-ერთ დივიზიაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მე მასთან მქონდა კავშირი. ჩვენმა ნაწილებმა დენიკინელებს იარაღი დააყრევინეს. ჩემი იქ წინა ხაზზე ყოფნის დროს ჩვენთან ორჯერ მოვიდნენ სერგო ორჯონიკიძე და ივანოვ-კავკასკი. ისინი გვესაუბრებოდნენ და თან გადმოგვცეს ბოლშევიკური გაზეთები. რამდენიმე თვის შემდეგ დავბრუნდით თბილისში, საიდანაც გაგვაგზავნეს სომხეთის ტერიტორიაზედ. 1921 წლის 12 თებერვალს მე-11 წითელი არმია გადმოვიდა შეტევაზედ, ჩვენს რიგებში მყოფი მოწინავე ამხანაგების ალექსანდრე ცაბაძის... და ვინმე პატარქალიშვილის ხელმძღვანელობით იარაღი დავყარეთ და წითლების მხარეზე გადავედით, როდესაც წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოდიოდნენ ჩვენ შემოვყევით მათ...“

<u>გრამიტონ მოწონელიძე</u>: „1921 წლის თებერვალში აზერბაიჯანის კომპარტიის ყრილობის დელეგატად ყოფნის დროს მობილიზაციით, სხვა ამხანაგებთან ერთად, გამაგზავნეს საქართველოში, რათა ხელი შეგვეწყო წითელი არმიის წინ მსვლელობისათვის. საქართველოში მე ჩამოვედი სხვა ემიგრანტ კომუნისტებთან ერთად“

სხვაგან გრამიტონ მოწონელიძე ასე იგონებს თებერვლის მოვლენებს: ჩავედი თუ არა ბაქოში. გამოვცხადდი აზერბაიჯანის ცეკაში. რომელშიც როგორც რკინიგზელი გამგზავნეს რკ. გზ. კომიტეტის განკარგულებაში. უკანასკნელის მიერ დანიშნულ ვიქენი დერბენტის რაიონში პარტხაზით სამუშაოდ, სადაც ვიმუშავე 3-4 თვე. შემდეგ კი აზერბაიჯანის ცეკას განკარგულებით გადმოგზავნილ ვიქენი საქართველოს საზღვრებზე ამავე ხაზით სამუშაოდ.

ამ ხანებში მოწვეულ იქნა აზერბაიჯანს პარტ-ყრილობა და კაზახის მაზრის სამაზრკომის მიერ არჩეული ვიქენი ყრილობის დელეგატად.

ყრილობის მუშაობის მიმდინარეობის პროცესში უკვე იფეთქა საქართველოში აჯანყებამ და ამ ყრილობაზედვე მე მობილიზაცია მიყვეს და წინადადება მომცეს სხვა ამხანაგებთან ერთად წამოვსულიყავ საქართველოსკენ და თუ შევძლებდით შემოვსუიყავით შიგნით აჯანყებულთათვის ხელის შესაწყობად.

საზღვარს მოუახლოვდით იმ დროს, როდესაც ფოილოს ხიდი აფეთქდა, რამაც საშუალება აღგვიკვეთა საქართველოში შემოსვლის, ჩვენ სხვა ამხანაგებთან და ტყვედ ჩავარდნილ მენშევიკების ჯარის კაცებთან ერთად შევუდექით ხიდის აღდგენას, რაც შევძელით 7 დღეში და მოგვეცა რა საშუალება, შემოვედით საქართველოში.“

<u>სიმონ კაპანაძე</u>: „1921 წელს მე გადასახლებული ვიყავი საქართველოდან. ვიმყოფებოდი აზერბაიჯანში, აღსტაფაში.. მაგონდება ერთი ამბავი: სომხეთში მოსკოვიდან მისია მოდიოდა. მათ თან ახლდა ბორის ძნელაძე და გაიოზ დევდარიანი, მაგრამ მენშევიკებმა შეიპყრეს ისინი, უკანვე დააბრუნეს. შემდეგ ისინი საქართველოში გადავიდნენ, ამ დროს მე ფოილოში ვიმყოფებოდი და სწორედ იქ ჩამოიყვანეს დაჭერილები გაიოზი და ბორისი. აი რა მიამბეს მათ:

ერთი კარგი საქმე გავაკეთეთ და აი როგორ: როდესაც დაგვიჭირეს და რამიშვილთან მიგვიყვანეს, მან გვითხრა: აქ საიდან გაჩნდითო? ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მოვისყიდეთ ფოილოს ხიდის მცველი მასხარაშვილი და გამოგვიშვაო. რამიშვილი გაბრაზდა. ასეთი ბრძანება დაწერა: დღესვე შეიცვალოს ფაილოს ხიდის ახრანა, არც ერთი ძველი არ დარჩეს. ახალ ხიდზე ჩვენი ბიჭები არიან“

<u>გიორგი გელაშვილი</u>: „1914 წელს გამიწვიეს იმპერიალისტურ ომში. 1917 წელს მივიღე მძიმე ჭრილობა. ოთხი თვე ლაზარეთში ვიწექი. 1918 წელს გამიწვიეს სპარსეთში. აქ ბევრი სხვა ქართველიც იყო. იმავე წელს ჩვენს პოლკში მოვაწყეთ გაფიცვა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ალექსანდრე მაისურაძე სოფელ დუმაცხოვიდან.. გავტეხეთ იარაღის საწყობი და პოლკოვნიკს ამგვარად განვუცხადეთ: ჩვენ მივდივართ ჩვენს სამშობლოშიო. ასეც მოხდა. შინ წამოვიღეთ თითოეულმა ჯარისკაცმა ორ-ორი თოფი, აუარებელი ვაზნა. ეს იარაღი და ვაზნები გამოგვადგა მენშევიკების წინააღმდეგ ბრზოლაში. ჩავწერე ხაშურის რევოლუციონერთა ორგანიზაციაში, სადაც ტატე ბუხრიკიძე იყო როგორც გამოჩენილი რევოლუციონერი. 1921 წელს წითელი დროშით შევეგებეთ მე-11 წითელი არმიის შემოსვლას, ისინი ჩავაცილეთ ხარაგაულამდე“

<u>გიორგი ლაბაძე:</u> „1918 წელს, როცა ჩამოვედი საქართველოში (იმყოფებოდა I მსოფლიო ომში – თ.ლ) ჩვენი ოჯახი უკვე ჩაბმული იყო არალეგალურ მუშაობაში, ჩვენ ოჯახში იმართებოდა არალეგალური კრებები, ინახებოდა პროკლამაციები იარაღი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში აწვდიდნენ წითელ გვარდიელებს. ჩამოსვლისთანავე მეც ჩავები რევოლუციურ მუშაობაში. ვავრცელებდი პროკლამაციებს, ვესწრებოდი არალეგალურ კრებებს, წითელ გვარდიელებს ვაწვდიდით იარაღს და თვითონ პირადად მებარა იარაღი და პროკლამაციები.

1918 წელს შევედი პარტის რიგებში, რომლიც შემდეგ უფრო აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი არალეგალურ მუშაობაში და ყველაფერში ვბაძავდი ჩემს მშობლებს, რომლებიც იმ დროისთვის უკვე გამოჩენილი ბოლშევიკები იყვნენ.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

„ყიფიანობა 2022“

დიმიტრი ყიფიანი, ვორონცოვი და საქართველო

2022 წლის 26 აპრილს (ძველი სტილი 14 აპრილი) 211 წელი სრულდება დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან.

დიდი ქართველი მამულიშვილის, დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის წლები იმ პერიოდს მიეკუთვნება, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და ყოველივე, რაც კი ეროვნულ ღირებულებას წარმოადგენდა, იკრძალებოდა. მოგეხსენებათ, მეცხრამეტე საუკუნე ეროვნული გამოღვიძებისა და ეროვნული ჩაგვრის საწინააღმდეგო მოძრაობებით ხასიათდება. ახალგაზრდა დიმიტრი ყიფიანი, 1832 წელს, მამულიშვილთა იმ გუნდს დაუკავშირდა, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას გეგმავდა. შეთქმულების გამოაშკარავების გამო, როგორც სხვა მოკავშირეებს, დიმიტრი ყიფიანსაც გადასახლება მიუსაჯეს. იგი, ერთი წლის განმავლობაში, მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს, მერე კი- ჩრდილოეთ რუსეთში, ქალაქ ვოლოგდაში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნებული დიმიტრი ყიფიანი გრძნობს, რომ ცარიზმის პოლიტიკასთან აშკარა დაპირისპირება კარგ შედეგს არ გამოიღებს და დგება რუსეთის სამსახურში. თუმცა, მისი შეხედულებები მკვეთრად იცვლება. ყველა მოწინავე ქართველი მოღვაწე და მათ შორის თვითონაც თვლის, რომ ეროვნულ-

გამათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ არ იყო მომწიფებული, რადგან შეიარაღებული საშუალებებითაც შეუძლებელი გახდა მიზნის მიღწევა. საჭირო იყო ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებების გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის არისტოკრატიისთვის მკვეთრად დამახასიათებელი იყო გაორება. ერთნი აღარ ქართველობდნენ, რუსობდნენ და მეორენი, რომელნიც ქართველობას იცავდნენ, უფრო მეტიც, რუსიფიკატორულ რეჟიმს ებრძოდნენ. დიმიტრი ყიფიანს მკვეთრად განსხვავებული პოზიცია ეჭირა- მას არ სჯეროდა რუსული მზაკვრული გეგმებისა და იყო, როგორც ეროვნული პრინციპების დამცველი, ასევე რუსი მოქალაქე, რომელსაც არ შეეძლო ორგული სამსახური. იგი თვითონვე ამბობდა რომ რუსი იყო სამსახურით, რომელის საშუალებითაც პურს ჭამდა და ქართველი იყო გვარტომობით და ენით. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ იგი აქვე დასძენდა: „საჭიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვას შორის არის გადებული. ამ ორი სიტყვიდან-რუსი და ქართველი-ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედუღაბება ერთ მცნებაში[...]როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“.

თავისი ნიჭიერების წყალობით მან, სხვადასხვა დროს, შესაფერისი სამსახურები მიიღო. საქმისადმი ერთგულება მისი შინაგანი ბუნების „მიზეზი“ იყო და არა რუსეთისადმი უსაზღვრო სიყვარული. „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო“, არასდროს უთქვამს, რადგან მან თავისი ღირსების შენარჩუნება და ავტორიტეტი ჩვენი ქვეყნის აღმასვლის საფეხურებისთვის გამოიყენა.

უამრავი რამ დაიწერა და კიდევ ბევრი რამ ითქმება დიმიტრი ყიფიანზე, მის ღვაწლზე და თავდადებაზე; თემა ამოუწურავია... მინდა, ამჯერად, ყურადღება გავამახვილოთ მისი მოღვაწეობის ერთ გარკვეულ მონაკვეთზე, როდესაც საქართველოში მეფისნაცვალის მოვალეობას მიხეილ ვორონცოვი ასრულებდა.

ცნობილია, რომ კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობა შემოღებული იქნა 1844 წლიდან, რომელიც 1882 წლამდე გაგრძელდა. პირველი მეფისნაცვალი, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა მიხეილ ვორონცოვი იყო (1844-1854წწ).(ნიკოლაი მურავიოვი - 1854-1856წწ; ალექსანდრე ბარიატინსკი- 1856-1862წწ; მიხეილ რომანოვი- 1862-1882წწ).

1881 წლის 22 ნოემბერს მეფისნაცვლის თანამდებობა გაუქმდა და შეიცვალა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობით. თუმცა, 1905 წელს იგი კვლავ განახლდა.

არსებული წყობილებისადმი დიმიტრი ყიფიანის ლოიალურ დამოკიდებულებას და სხვაგვარად აზროვნებას ხელს უწყობდა მიხეილ ვორონცოვის დამოკიდებულება ქართველებისადმი, ქართული საქმისადმი. განსხვავებით საქართველოში, შემდგომში მოღვაწე რუსი მოხელეებისგან, ვორონცოვი სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებდა: სამოსწავლო ოლქების შეერთებასთან დაკავშირებით, მან მიმართა ოლქის უფროსს, რომ სასწავლებლებში სწავლა ყოფილიყო როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაზე. ამ ფაქტს ის ასე ხსნიდა: რომ აქაურები ისწავლიან რუსულს და ქართულის სწავლით კი ავღზდით კარგ მოხელეებს,, რომლებსაც ეს ენა გამოადგებათ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებშიო. დიმიტრი ყიფიანის მოგონებების მიხედვით, ციციანოვის მთავარმართებლობის დროს, ვორონცოვი ახალგაზრდობაშიც ყოფილა საქართველოში. აქედანმე შეჰყვარებოდა მას ეს ქვეყანა და მეტად თბილი ხალხი. მიხეილ ვორონცოვს გვერდით ედგა ქართველებისადმი ისეთივე კეთილგანწყობილი, გენერალი ლადინსკი. დიმიტრი ყიფიანი სწორედ მის მიერ იქნა დანიშნული მეფის მოადგილის საბჭოს კანცელარიის მმართველად. ხოლო შემდეგ, მთავარმართველობის კანცელარიის დირექტორად.

ვორონცოვის პოლიტიკამ გახადა შესაძლებელი, რომ დიმიტრი ყიფიანს თავისი გეგმები 1844-1854 წლებში, ვორონცოვის მოღვაწეობის პერიოდში განეხორციელებია. უნდა ითქვას, რომ ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილი ვორონცოვი საქართველოში ფართო რეფორმისტული გეგმით ჩამოვიდა. ამ გეგმის ნაწილი ქართული კულტურის აღორძინებისთვის ხელის შეწყობაც იყო.

დიმიტრი ყიფიანს უჭირდა მიმხვდარიყო ვორონცოვის ხრიკებს. ალბათ იმიტომ, რომ იგი სხვა მოხელეებისგან სწორედ მოხერხებულობით განსხვავდებოდა. როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს, „იგი ბაგირზე მოარულივით, ოსტატურად გადიოდა პოლიტიკის ბეწვის ხიდზე. ოპერაციას სკალპელით აკეთებდა ფაქიზად, რომ სნეულს ტკივილი ნაკლებ ეგრძნო. კატკოვ-იანოვკები კი გონებაჩლუნგი, ტვინდაბნელებული, უნამუსო მოხელეები იყვნენ. ისინი ნაჯახით ჩეხდნენ, კბილებით კვეტდნენ და მიზნისკენ ეკალ-ბარდიანი, ოღროჩოღრო გზით მიბობღავდნენ“.

ქართველებისადმი კარგი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ვორონცოვის მეუღლეც, ელისაბედ ქსავერის ასული ბრანიცკა. ისინი - მართავდნენ ნადიმებსა და მეჯლისებს, სადაც ქართველ თავად-აზნაურებს აიძულებდნენ, თავიანთი ცოლები და ქალიშვილები უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილები მოეყვანათ. ელისაბედმა თბილისში გახსნა ქალთა ინსტიტუტი, სადაც, რუსულთან ერთად, ისწავლებოდა ქართულიც. ერთ-ერთმა თავადმა, ობოლენსკმა, სმოლნის მონასტრიდან თავისი ქალიშვილები სასწავლებლად ამ ინსტიტუტში გადმოიყვანა და ვორონცოვთან თხოვნით მივიდა, რომ მათი ქალიშვლების პროგრამიდან ქართული ამოეღოთ, რადგან ეს მათ არ გამოადგებოდათ. ამ დროს, ვორონცოვთან ერთად იმყოფებოდა დიმიტრი ყიფიანიც. ვორონცოვი დიმიტრის აზრს დიდ პატივს სცემდა და მას სთხოვა, კითხვაზე პასუხი გაეცა... დიმიტრი ჩვეული პირდაპირობით პასუხობს, რომ ქართულის სწავლა ყველასთვის ერთნაირად სავალდებულო უნდა იყოს და თუ არ სურს, რუსეთის ინსტიტუტში მიაბაროს შვილებიო. ვორონცოვს მოეწონა დიმიტრის პასუხი და თავადი ობოლენსკიც გაწბილებული დარჩა.

მიხეილ ვორონცოვისთვის ადმინისტრაციული მოღვაწეობის ღერძი და საყრდენი დიმიტრი ყიფიანი გახლდათ. ყიფიანმაც ისარგებლა ამ დამოკიდებულებით, პერიოდით და დაიწყო ზრუნვა განათლების სისტემის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებაზე. ეროვნული ჟურნალისტიკის აღორძინებაზე. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებაზე... წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე...

ეს ეტაპი მოიხსენიება, როგორც „ოცდათორმეტიანელებსა“ და „თერგდალეულთა“ მსოფლმხვედველებრივ და იდეოლოგიურ „ხიდად“.

ვორონცოვის მოღვაწეობის პერიოდს უკავშირდება გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრისა(1850) და ჟურნალ „ცისკრის“(1852) დაარსება. მისი ინიციატივით და ხელშეწყობით დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა (1846). ასევე-კავკასიის მუზეუმი(1852). მისი მოღვაწეობის პერიოდში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები უფლსციხეში. გაუმჯობესდა და აღარ იდევნებოდა ქართული ენის სწავლება სასწავლებლებში. დიმიტრი ყიფიანმა ამ პერიოდში დაწერა წმინდა ნინოს ისტორია, რომელიც ხალხში გაავრცელა. ცნობილია ისიც, რომ 1850 წლის ივნისში, ვორონცოვის ინიციატივით, მოსკოვიდან გადმოასვენეს

(დასასრული IV გვერდზე)

დიმიტრი ყიფიანი, ვორონცოვი და საქართველო

(დასასრული)

საქართველოს უკანასკნელი მეფის,გიორგი XII -ის მეუღლე,მარიამ დედოფალი,რომელიც საქართველოდან შვილებთან,დავითთან და ანასთან ერთად, ჯერ რამდენიმე წლით ბელგოროდის დედათა მონასტერში გამოკეტეს, ხოლო 1811 წელს მოსკოვში გადაიყვანეს. 1849 წელს, ნიკოლოზ I -მა მარიამს საქართველოში დაბრუნების უფლება მისცა, მაგრამ იგი 1850 წელს, გამომგზავრებამდე გარდაიცვალა. ვორონცოვის მხარდაჭერით, მარიამ დედოფალი სვეტიცხოვლის ტაძარში, მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ზოგადად,მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობა დასტური იყო იმისა,რომ იგი დიდ პატივს სცემდა ქართველებს,ჩვენს ენას, ადათ-წესებს,კულტურას,ზნე-ჩვეულებებს და ა.შ. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებში სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც,მისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სუფევდა. მიხ. კატკოვი კი მას არარუსული თვითშეგნების პიროვნებად მიიჩნევდა და კავკასიაში გატარებული პოლიტიკური კურსის გამო სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში ადანაშაულებდა.

საქართველო-რუსეთის სრული პოლიტიკური და ეკონომიური შერწყმის დიდი მცდელობისა და ქართველი ხალხის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის შენარჩუნებისთვის ვორონცოვისადმი დამოკიდებულება მერყევია,- ვერც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური და ვერც ნეგატიური ვერ იქნება. ამ საკითხს უფრო მეტი ჩაღრმავება და კვლევა-ძიება ესაჭიროება.

ასეთი შედეგიანი კვალი დატოვა,ქართული საქმის აღმავლობის თვალსაზრისით,ვორონცოვის საქართველოში მოღვაწეობის ერთმა ათეულმა წელმა; სწორედ ამ დამსახურებისთვის იყო, რომ მისი ძეგლის ასაგებად,გარდაცვალების შემდეგ,ქართულმა საზოგადოებამ 36 000-ზე მეტი რუბლი შეაგროვა. ძეგლი 1867 წელს გაიხსნა. თბილისში მიხეილ ვორონცოვის სახელს ატარებდა ხიდი, ქუჩა, მოედანი... 1922 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ,ვორონცოვის ძეგლი აიღეს; სახელი გადაერქვა ყველაფერს, რაც მის ხსოვნას უკავშირდებოდა...

ეს იყო წარსულის ერთი საინტერესო ფურცელი, რომელიც ორმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანმა, დიმიტრი ყიფიანმა და მიხეილ ვორონცოვმა,საქართველოში, სიყვარულის ენაზე დაწერა...

ალბათ, კიდევ ბევრი დიმიტრი ყიფიანი გვჭირდება, რომ თავდადება ვისწავლოთ, სიყვარულის ცნებას ჩავუღრმავდეთ; მინიმუმი მაინც აღვასრულოთ იმ ვალდებულებებიდან, რასაც ჩვენი მომავლის აშენება გვკარნახობს; რომ პირნათელნი ვიყოთ წარსულისა და მომავლის წინაშე... რომ ცოცხლებს აჩრდილებისა არ გვრცხვენოდეს...

დღეს აღდგომის დღესასწაულს ვზეიმობთ და მაცხოვრის აღდგომის მადლი შეეწიოს დიმიტრი ყიფიანის საქართველოს!

კლარა გელაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი, დიმიტრი ყიფიანის
სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი

კლასიკური მუსიკის მასტერკლასი ცნობილი ორკესტრის მონაწილეობით

ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის მასტერკლასი გაიმართა. პედაგოგ ფატი სადაღაშვილის სავიოლინო კლასის მოსწავლეებმა წამყვანი პარტიები თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მცირე შემადგენლობასთან, რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით, ინტეგრირებულად შეასრულეს.

მასტერკლასს საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი.

მასტერკლასი ხაშურის სამუსიკო სკოლაში უკვე მეორედ იმართება. პირველად მასტერკლასი 2019 წელს მოეწყო.

ღონისძიება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა.

მათ მადლობა გადაუხადეს ორკესტრის მენეჯერ გოდერძი გარაყანიძეს, სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელ ლალი რუხაძეს და პედაგოგ ფატი სადაღაშვილს მასტერკლასის ორგანიზებისთვის.

მასტერკლასს უძღვებოდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მაგისტრანტი ნინო ცაცანაშვილი.

შესრულდა მოცარტის, ბაკლანოვას და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ორკესტრთან ერთად დაუკრეს ნორჩმა მევიოლინეებმა ოთარ ფრუიძემ,ანა-მარია ჯობაძემ,თამარ ნოზაძემ,ელენე ყაულაშვილმა,ანა ბერიძემ,ანა-მარია სამხარაძემ,მარიამ ზანიერმა,ანი ჩოჩიამ,დემეტრე გელაშვილმა, თეკლა კაპანაძემ, ანა გოლუბიანმა, ანა ქურდაძემ. საყვირის პარტია შეასრულა ლაშა ხუციშვილმა,

ოპერისა და ბალეტის ორკესტრის მცირე შემადგენლობის

„აღდგა“ თუ „აღსდგა?“

ყოველ აღდგომას, როგორც წესი, თითქმის მუდამ ახლავს პოლემიკა თუ რომელი ფორმულირებაა სწორი - „აღდგა“ თუ „აღსდგა“.ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ გასულ წელს გავაკეთეთ განმარტება, მაგრამ, რადგან ეს თემა კვლავ აქტუალურია, თავს ნებას ვაძლევთ, კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ ეს განმარტება და, შეძლებისდაგვარად, წერტილი დავუსვათ კამათს.

„აღდგა“ ერთპირიანი და მესამე სუბიექტური პირის ზმნაა. ცხადზე ცხადია,რომ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი „ს“ მასთან არ უნდა იყოს,რადგან მას ირიბი ობიექტი საერთოდ არ ეწყობა. მაგრამ აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი,თვითონ ქრისტეს აღდგომა სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს - ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისაგან სრულიად განსხვავებულს, ამიტომ ვითომ რატომ არ უნდა გამოირჩეს დანარჩენი „აღდგომისა“ თუ „ადგომისაგან?“

სულ უბრალო მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ დაგარწმუნოთ ამის ჭეშმარიტებაში. ვთქვათ, რაღაც ხუხულა იდგა, ქარმა დაანგრია და შემდეგ მეპატრონემ აღადგინა (შემინდე,უფალო,თუ უხერხულ შედარებას ვაკეთებ). გასაგებია, რომ ხუხულა აღდგა. ამ კონტექსტის შემდეგ შეიძლება იმ სასწაულ მოვლენაზეც იგივე სიზუსტით ვისარგებლოთ ფონემების რიგითობით და ვთქვათ ქრისტე აღდგა? არამც და არამც! მეტიც, მკრეხელობაც კი გვგონია ასეთი გამოთქმა. დიახ, გრამატიკული კატეგორიები შორს უნდა დავიჭიროთ ამ მოვლენის „აღსაწერად“, რადგან, ამ შემთხვევაში, მთავარი გრამატიკულად მისაღები კი არა, გულისთვის და სულისთვის მისაღები ფორმა უნდა ავახმიანოთ - აღსდგა.

მე არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო ლინგვისტური წიაღსვლებით და ძალიან მოკლედ ვიტყვი: ლინგვისტიკაში არსებობს ცნება უზუსი, რაც, ერთგვარად, სალიტერატურო ნორმებთან დაპირისპირებას გულისხმობს. სულ უბრალო მაგალითი: ოფიციალური წერილისას, თუ პიროვნებას მივმართავთ და წერილს ამ მიმართვით ვიწყებთ (მაგალითად, ბატონო გიორგი), გრამატიკულად აუცილებელია მიმართვის ბოლოს ძახილის ნიშნის დასმა,მაგრამ დიპლომატიაში,თუ ისეც, ამ ძახილის ნიშანს არავინ ხმარობს, მის ნაცვლად გამოიყენება სასვენი ნიშანი მძიმე (რაც, რა თქმა უნდა, გრამატიკული კაზუსია). ეს იმიტომ, რომ ძახილის ნიშანი, ერთგვარად, ბრძანების ფორმას ძენს ამ მიმართვას, მძიმე კი არბილებს მას და მასში პატივისცემა უფრო იკითხება.

ესეც არ იყოს, „ს“-ს შემოტანით (ანუ ირიბი ობიექტის „გამოჩენით“) ჩვენ უფრო სამპირიანობის განცდას ვეუფლებით, ანუ შემოგვაქვს ჰიპოსტოსი წმინდა სამების სახით.

დიახ, თამამად ვთქვათ „აღსდგა“, რადგან ამ ზმნაში მოკრძალებაც, რიდიც და მოწიწებაც უფრო ნათლად ჩანს უფლისადმი.

ასე, რომ ქრისტე აღსდგა, მეგობრებო!

გოგი გოგოლაძე

ალათასა - ბალათასა - ჭონაა!!!

ჭონა ბავშვებისთვის ძალიან მაგიური რიტუალი იყო.მთელი წელი ვემზადებოდით ჭონისთვის. ზოგი ახალ შელოცვას სწავლობდა, ზოგი საკრავს ამზადებინებდა მშობელს, ზოგი მოზრდილ კვერცხს დებდა კალათში ბარაქის იმედით. ჭონა, სიხარული იყო ყველა უბანში და, ბუნებრივია, ჩვენთანაც. ვნების კვირის დაწყებისთანავე იწყებოდა ჭონები. უბნები ზონებად გვქონდა დაყოფილი. ჩვენი უბანი ორად იყო გაყოფილი და ჩვენი იურისდიქცია ვაჟა ლომიძის სახლთან სრულდებოდა, იქით სხვები იყვნენ, თუ სხვის ტერიტორიაზე გადახვიდოდი კონფლიქტი გარდაუვალი იყო. ჩვენს ზონაში, დაახლოებით 100 სახლი იყო და გვყოფნიდა, ამიტომ ვაჟას სახლთან სრულდებოდა ჩვენი ჭონა.

იმ წელს აპრილის ბოლოს იყო აღდგომა. დილით, სოფომ გაგვაფრთხილა მეჭონეები, რომ საღამოს ჭონაზე წავიდოდით. სულ 8 ბავშვი ვიყავით. მე, სოფო, ვანო, ნინო, მარიკა, სოსო, სანდრო და ლელა, რომელიც წელს პირველად მოდიოდა ჭონაზე.

ჩვენი ზონა, გურამი გელაშვილის სახლიდან იწყებოდა, ამიტომ იქ ვიკრიბებოდით ხოლმე. სოფომ, რომელიც ჩვენში ყველაზე უფროსი იყო, 8 საათზე დაგვიბარა. დაგვიანება გამორიცხული იყო, ის კი არადა 7-ზე უკვე ყველა ადგილზე ვიყავით, მაგრამ ვიდრე არ შებინდდა არ დავიძარით. სოსო ამტკიცებდა: - დღე ჭონაზე სიარული არ შეიძლება,

სინათლემ კვერცხის გალაყება იცისო. სოფოც ეთანხმებოდა, დღემდე არ ვიცი, მართლა ეგრე იყო, უბრალოდ სოფოს მოსწონდა ეს აზრი და მაგიტომ ეთანხმებოდა თუ საწინააღმდეგო არგუმენტი არ ჰქონდა და იმიტომ ეთანხმებოდა, რომ მეც ვიცი შენ რომ არ თქვაო.

ეზოებში შესულები სოფოს ვუყურებდით, როგორც საომრად გამზადებული ჯარი მთავარსარდალს. სოფოს, ერთი დოლი ჰქონდა (მთელი ბავშვობა ისეთ დოლზე ვოცნებობდი) რომელიც ბაბუამისის ომის მეგობარმა აჩუქა. ის დოლი ჩვენი ჭონის უწმინდესი ნივთი იყო და, ბუნებრივია, სოფო ვერავის ანდობდა. ამიტომაც, ეზოებში შესვლისთანავე, ცალ მუხლზე დაიჩოქებდა, ზედ დოლს დაიდებდა, მერე წამიერი სისათუთით გადაუსვამდა ხელს და დასცხებდა:

-ალათასა-ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა,

დედი, ერთი კვერცხი მომე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა - აქ უკვე მთელი გუნდი ვერთვებოდით და ერთად ვყვიროდით - ჭონაااა!!!

თუ არავინ გამოვიდოდა, სოფო უფრო შემართებით იწყებდა:

- ველოსიპედით მივდიოდი, გამომიძვრა პედალიო,

დედი, ერთი კვერცხი მომე,ხვალ დაგიდებს დედალიო - მერე წამიერი სიჩუმე, სოფოს ამაყი გადმოხედვა და ჩვენი - ჭონაა!!!

სხვა სიმღერებიც ვიცოდით, ყოველ შემთხვევაში, სოფო ამბობდა რომ 100 - მდე იცოდა, მაგრამ ორზე მეტი არასოდეს დაგვჭირვებია და დღემდე არ ვიცი, მართლა ამბობდა თუ არა, მაგრამ სოფოში ეჭვი არასოდეს შეგვიტანია.

კვერცხის მოცემის მერე ყველა ერთად ვამბობდით:

- ზღვაში გემი გაჩერდა, ეს ოჯახი აშენდა.

იმ წელს კალათი ლელას ეჭირა. სოფომ თქვა, პატარაა და უფრო მეტს მისცემენო. სუფთა მარკეტინგულად გათვალა იყო, მართლა ყველა ეფერებოდა ლელას.

ყველაზე მეტად ის მომენტი გვიყვარდა, როცა ჩვენ სახლებს მივუახლოვდებოდით. ჩვენს ეზოებში განსაკუთრებით მონდომებით ვმღეროდით. გვიყვარდა, მშობლების გამოსვლა, რომლებსაც წინასწარ ვაფრთხილებდით რომ 3 - ზე ნაკლები კვერცხი არ უნდა მოეცათ. ერთადერთი, სანდროს სახლში არ შევდიოდით. მამა ადრე გარდაეცვალა, ჩვენ არც გვახსოვდა სანდროს მამა. როგორც ამბობდნენ, ვიღაცას გამოექომაგა და მოკლესო. სანდროს ორი პატარა ძმა ჰყავდა. დედამისი სასწრაფოში მუშაობდა და გაჭირვებით ინახავდა ოჯახს. მის სახლს რომ მივუახლოვდებოდით, სანდრო სულ იმას ამბობდა - დედაჩემი მორიგეობიდან მოვიდა, ჩემთან არ შევიდეთ თორემ გაეღვიძება და ცოდოაო. არც შევდიოდით, სანდროს როგორ ვაწყენინებდით, არადა ყველა ვხვდებოდით, რომ სანდროს გაჭირვებას მალავდა და შეიძლება იმ მომენტში კვერცხიც კი არ ჰქონოდათ სახლში.

ჩვენ სახლებს რომ მოვილევდით (ყველა ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობდით), მერე გზას ვაგრძელებდით. ასე მოხდა იმ წელსაც, კალათიც ნელ-ნელა ივსებოდა. ლელას უკვე უჭირდა ტარება და ჩვენ ვეხმარებოდით. ერთი ოჯახი არ გვიყვარდა, არასოდეს გამოდიოდნენ გარეთ, სოფო სამ სიმღერასაც კი მღეროდა, მაგრამ მაინც არ გვცემდნენ პასუხს,მეორე დღეს ამბობდნენ: - ტელევიზორის ხმაურში ვერ გავიგეთო, არადა უმეტესად იმ დროს მივდიოდით, როცა შუქი არ იყო - ხოლმე. უგვანი ხალხი იყვნენ.

სოფო - ბელადი, არასოდეს იღლებოდა, ბოლოსაც კი, მუხლზე ისე ლამაზად იჩოქებდა, რათა დოლი დაედო, თითქოს ელოდება ხმალს ვინ დაადებდა თავზე და რაინდად აკურთხებდა. 11 საათზე მოვრჩით. კვერცხის გაყოფა სოფოს პრეროგატივა იყო. 10-10 კვერცხი გვარგუნა. 3 ცალი, რომელიც ზედმეტად დარჩა, ლელას მისცა, როგორც ყველაზე პატარას. გახარებულები წავედით სახლში. მამას ეძინა, დედა მელოდა. მალევე დავწექი. ის-ის იყო თვლემა მომერია რომ ფანჯარას ქვა მოხვდა, თავიდან მეგონა მომეჩვენა, მაგრამ განმეორდა და გავიხედე. ვანო იყო.

- ლადო,ჩამოდი დაბლა,მაგარი გეგმა მაქვს - ვანოს გეგმა ცოტა საშიში რამე იყო. იშვიათად მავნე ბავშვი იყო ვანო. მეზობლად, ერთ ოჯახს აგარაკი ჰქონდა, ზაფხულობით ჩამოდიოდნენ, როცა წავიდოდნენ ვანო დაგვიძახებდა: - დაუდევრებს, ფანჯრები არ დაუტოვებიათ ღია, სახლი მომავალ წლამდე აყროლდება,ამიტომ ჩვენ ვუშველოთ,გავანიავოთო და შურდულით ფანჯრებს გვამტვრევინებდა. ჩვენც გვეგონა რომ მადლიან საქმეს ვაკეთებდით. ვანოს იდეა იყო, სიბნელეში, გზის ერთ მხარეს ქამრის დაგდება,ზედ შავი ძაფის მობმა და სიბნელეში, როცა ვინმე გამოივლიდა, მეორე მხრიდან მოქაჩვა და ქამრის გამოთრევა, რომელიც გველს ჰგავდა. ჰოდა ასეთი იდეების ადამიანის შუაღამის ვიზიტი ცოტა მეხამუშა,მაგრამ მაინც ჩავიპარე ფანჯრიდან. გარეთ რომ გავედი,ლელას და სანდროს გარდა ყველა გარეთ დამხვდა. ვანომ ბედნიერი სახით გაგვაცნო იდეა, რომელსაც დედაჩემის ნაყიდი ახალი კალათი უნდა შეწირვოდა, მაგრამ ღირდა. იმ ღამეს სახლში 3 საათზე შევიპარე. დედა მენდობოდა, ამიტომ დაძინების წინ აღარც შევუმოწმებივარ.

მეორე დილით,ბარდღალა მზე ამოვიდა. მზეს არაფერი უცნაური ჩვენ უბანში არ დაუნახავს და ჩვეული ტემპით გააგრძელა ამოსვლა, მერე წამიერად გაჩერდა,სანდროს ეზოს დააკვირდა,კვერცხებით სავსე დიდი კალათი ეუცნაურა კარებთან, მაგრამ ამოსვლა უგვიანდებოდა და გზა გააგრძელა.

იმის მერე ჭონაზე აღარ ვყოფილვარ. მეორე წლეს მხოლოდ ნინო და ლელა იყვნენ ჩვენი გუნდიდან ჭონაზე. მერე მხოლოდ ლელა აგრძელებდა ჩვენ გზას. სოფოს ღირსეული მემკვიდრე დადგა. სოფომაც იუბილეზე დოლი აჩუქა. წელს ჩავალ სახლში. როგორც გავიგე, ლელას და სანდროს შვილი ღირსეული მეჭონე დამდგარა და ვნახავ,ბავშვობასაც გავიხსენებ და მეც მათთან ერთად ვიმღერებ:

ალათასა-ბალათასა.....

ლადო გოგოლაძე

თამარ გუდაძე-გოგიჩაშვილი - შემოქმედი, რომელიც საოცრებებს ქმნის

რუსთაველის ქუჩაზე, საოცარი ხელითნაქსოვი თოჯინების ფერადი სტენდი არც ერთ გამვლელს არ ტოვებს უყურადღებოდ. ყველასთვის საყვარელი მულტფილმის, ზღაპრის გმირები, ათასფერი ძაფებით გაცოცხლებულა და ელოდება მყიდველს და შემფასებელს. ამ ყველაფრის შემოქმედი,

ქალბატონი თამარია, რომელიც საოცარი ოსტატობით და სიყვარულით ქმნის ყველა პერსონაჟს და თითქოს, ახალ სიცოცხლეს უბრუნებს. ამი გურუმი, ასე ქვია იაპონურ ტექნიკას, თოჯინების შექმნის ხელოვნებას. ქალბატონი თამარი მრავალმხრივი ხელოვანია, მიუხედავად სხვა პროფესიისა, ბავშვობიდან ხელოვნებაშია, ქმნის, აზიარებს. წუხს, რომ არ ეძლევა შესაძლებლობა, თავისი ხელოვნება სხვასაც შეასწავლოს, მიმდევრები გაიჩინოს. ჩვენი ქალაქი უნდა იცნობდეს **თამარ გუდაძე-გოგიჩაშვილს**, ქალბატონს ოქროს ხელებით და შესაძლებლობით.

–ხელნაკეთ ნივთებს ვაკეთებ, თოჯინებს ვქსოვ. ამ ხელოვნებას ამი გურუმი ჰქვია, იაპონური ხელოვნების ნაწილია. თვითნასწავლი ვარ, ბავშვობიდან მომყვება ეს ნიჭი. ყველაფერი დედას ახლადნაყიდი პერანგიდან იწყება, როდესაც პატარა ბავშვმა, ბისერები ავხსენი. ამის შემდეგ, სულ რაღაცას ვაკეთებ. მამა კარგად ხატავდა, მეც თავიდან ხატვით უფრო ვიყავი დაკავებული, არასდროს მივლია შემოქმედებით წრეზე, ხელსაქმეზე, რომ რაღაც გამოცდილება მქონოდა ამ მხრივ. პროფესიით ბუღალტერი ვარ, მაგრამ არასდროს მიმუშავია, ყოველთვის რაღაც ხელსაქმით ვიყავი დაკავებული, ეს მაძლევდა დიდ ენერგიას და სიამოვნებას. შემდეგ უკვე შემოსავლის წყაროდაც იქცა.

_ რამდენი ხანია, თოჯინებს აკეთებთ?

–სერიოზულად რაც დავინტერესდი, თითქმის 18 წელია. ანტალიაში მქონდა სავაჭრო ადგილი, სადაც გამომქონდა ჩემს მიერ შექმნილი ნივთები, დეკორატიული ქილები, თოჯინები, სხვადასხვა დეკორაციები. მოთხოვნილება ძალიან დიდი იყო, ფასებიც განსხვავებული და შრომის შესაბამისი. ახლაც მთხოვენ, გავუგზავნო თოჯინები, მაგრამ რადგან მარტო ვმუშაობ, ძალიან რთულია, დიდ დროს და ენერგიას ითხოვს. გარდა ამის, ადრე ტანსაცმელსაც ვქსოვდი, შეკვეთებს ვიღებდი. საღდგომო, საახალწლო დეკორაციები, მუყაოსგან, სხვადასხვა მასალისგან სახლის მაკეტები და უამრავი რაღაც, მცირე ჩამონათვალია, რასაც ხელით ვქმნი.

- თქვენ თოჯინებს, საქართველოში მხოლოდ ხაშურში იცნობენ?

–მეწარმეთა კავშირთან მაქვს ურთიერთობა, ისინი გვიზიარებენ სხვადასხვა ინფორმაციებს, ახლაც მთაწმინდის პარკში გვქონდა გამოფენა-გაყიდვა, სადაც თოჯინები გავიტანე და ძალიან დიდი მოწონებაც დაიმსახურა. გასაყიდი ფასიც შესაბამისად, უფრო მაღალია. ხაშურში, საახალწლო გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა.

- როგორ იქმნება თოჯინა? დარწმუნებული ვარ, სასიამოვნოსთან ერთად, ძალიან შრომატევადი პროცესია.

–წარმოუდგენლად შრომატევადი პროცესია, რამდენადაც ძალიან შემოქმედებითია, იმდენად დიდ დროს და ნებისყოფას მოითხოვს. დაახლოებით 15 სანტიმეტრიანი თოჯინა, 5-6 საათს საჭიროებს და მისი საბაზრო ფასი ხაშურში მხოლოდ 10 ლარია და ესეც ძალიან ეძვირება მყიდველს. ახლა მაქვს ძალიან დიდი ზომის ჟირაფი და სხვადახვა პერსონაჟი მოქსოვილი, თითქმის ერთ მეტრამდეა მათი სიმაღლე.

- დიდი ხანი არაა, რაც ხაშურში თქვენი თოჯინები გამოჩნდა და მნახველს, დიდ ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს ძაფებით გაცოცხლებული პერსონაჟების ნახვა. აუდიხართ შეკვეთებს?

–ვინც ნახულობს ჩემ ნამუშევრებს, მიკვეთავენ ხოლმე. მაგრამ სხვა, უფრო დიდი შეკვეთები არ მაქვს, არც სურვილია და ვერც გავწვდები ფიზიკურად. როგორც გითხარით, შრომატევადია, მასალაც თბილისიდან მომაქვს და მყიდველს მაინც უჭირს მინიმალური თანხის გადახდა, მიუხედავად იმის, რომ მოწონება ძალიან დიდია. გარდა ამის, ასეთი თოჯინები, ეკოლოგიურადაც სუფთაა და გარდა დეკორაციული დანიშნულების, ბავშვებისთვის ნაკლებად საზიანოა მათთან ურთიერთობა.

გარდა თოჯინების, საიუველირო ეპოქსიდზე ვმუშაობ, ძალიან ბევრი მიმართულებით. ცოცხალი ყვავილებით ვქმნი დეკორატიულ მაგიდებს, ნიჟარებს. რაც ნამდვილად სიახლეა.

- რისი სურვილი, რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

–ძალიან მინდა, მოსწავლეები ავიყვანო და ჩემი ცოდნა და გამცდილება გავუზიარო, მაგრამ შესაბამისი სივრცე არ მაქვს ამისთვის. იმედი მაქვს, მომეცემა იმის შესაძლებლობა, საკუთარი გამოცდილება, ცოდნა, შემოქმედება სხვისთვისაც საინტერესო გავხადო.

იმედია, ქალბატონ თამარს მიეცემა შესაძლებლობა, რომ თავისი გეგმების სრული რეალიზება მოახდინოს და გვინდა, მისი საოცარი შემოქმედება მთელმა საქართველომ გაიცნოს.

თ. ჯავახიშვილი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი, სამძიმარს უცხადებს საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, ეთერ გოგალაძეს, ძმის-

გიორგი გოგალაძის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.